წვლიწადი მეშვიდე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

თეთრიგიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
მარტი-აპრილი 1932 წელი
N° 50-51

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII
რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur : TSERETHELI

Paris
MARS-AVRIL 1932
No 50-51

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა!

უნდა აღსდგეს ნაწამები
—აღსდგეს დიდი საქართველო!

ქრისტეს აღდგომა იყო უდიდესი სიმბოლო ქვეყნად ბოროტების დათრგუნვის და ჭეშმარიტების გამარჯვებისა.

მოწწმენე კაცობრიობა ამ დღეს ეგებება დიდის სიხარულით და ტანჯული მიწიერი ცხოვრების ვნებით, ღრმა-მთავარნებით უერთდება სიმართლის ზეიმის დღეს—ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას.

იესო სახარეველის წამება და ჯვარცმა, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა განასახიერებს კაცთა ნათესავის ბედს და მის სულის სამეფოში აგებს უკვდავ ძეგლს სიმართლის ამაღლებისა.

ამ ბრწყინვალე დღესასწაულზედ მთელი ქართველი ერი გულ-ჩათხრობილი გოდებს სამშობლოს ჯვარცმას.

ამ დღეს ყველა ზეიმობს, ყველგან გაისმის ბად აღმამაღლებელი ხმა სიხარულისა, ხოლო ქართველი გულდაგოდილივედარ მოისმენს თავისუფლად სიტყვებს კათალიკოსისა.

ის ამ დღეს ვერ თბება თავისუფლად სარწმუნოებრივი სითბოთი და აღტაცებით ვედარ შესძახის მოძმეს თავისუფლად: «ქრისტე აღსდგა»!

დიდ ხანს გაგრძელდა გოდება და ურვა ქართველი ერის. მასზედ უკანასკნელი სიძლიერით მოიწია რისხვამ «ცისა შვიდისა» და უძლიერესი ძალითვე გადაიყრის იგი მას.

დღევანდელ ბრწყინვალე დღეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის განცდასთან ქართველის გულში კვლავ ენთება ცეცხლი ერის აღდგომის ძლიერი რწმენის, რწმენის ჭეშმარიტებისა, რწმენის თავისუფლებისა.

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის სიმბოლო კიდევ ერთხელ უდასტურებს ქართველს მის შეუდრეკელ რწმენას სამშობლოსადმი.

ქართველი ერი არ მოკვდება!

საუკუნეთა დენაში, მიწის პირისაგან თითო-თითოდ წარიხოცებოდენ ძველი ერები და, ვით ვარსკვლავნი ცის სივრცეზედ, მეეშურებოდენ ისტორიის უფსკრულში.

ასე აღსრულდა მისია ყველა იმ ერთა, რომელთაც კაცობრიობას არსებოვის კნელეთში პირველი ლამპარი აუნთეს და რომელთა დროშეგი დიდ ხანს ფრიალებდენ ამაყად ქართველთა სახლეებს ახლოს.

ერთი გადარჩა მილიანი სახით, როგორც სფინქსი უდაბნოს ველზედ.

და დღეგსაც ტანჯულს დანაწამებს დროშა თავისი კვლავ უჭირავს ამაყად ხელში.

სპარსეთის, რომის, ბიზანტიის, მონღოლეთის, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების ძლიერმა მახვილმა ათასჯერ დასჭრა და განკმირა გული საქართველოისა.

ათასჯერ ჩასცეს მათ ლაზვარი ქართველი ერის სულს და მისი სხეული შავ სუდარაში გაბვიეს.

მაგრამ ვერ ჩაჰკლეს მასში არსებობის უსაზღვრო წყურვილი, ვერ შეაჩერეს ეროვნული ძარღვის ცემა, ვერ ამოსწურეს სისხლი მარად მჩქეფარე და ვერ ჩააქრეს ბრძოლის ცეცხლი დაუშრეტელი.

მეოცე საუკუნე რეკს ერთა განთავისუფლების ძლიერ ზარებს.

სიმართლის და სამართლიანობის ხმა ყუმბარასავით გავარდა და მოიცვა მთელი კაცობრიობა.

ინგრევა ძველი მსოფლიო; უმანკო მსხვერპლით დაკერილნი გოლიათნი დკანან უფსკრულის პირას.

უბერავს ძლიერი ქარიშხალი და სიბოროტის ღრუბლებს მიაქანებს მზის დასავალსა.

დგება ჟამი წარმავალთა დაისების.

ახლოვდება განთიადი და ჭეშმარიტების სხივები ლაღად ეთამაშებიან სისხლის ფერ ცას.

ბრწყინვალე მოძმავალს დიდის აღტაცებით ეგებებიან ჩაგრულნი ერნი, ყოველი მხრითგან, ყოველი კუთხითგან.

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღეს ქართველმა ერმაც თავის სულის სიღრმეში შეძოჭვრა სიოფნის ხარებს.

ჩრდილოეთის ველურთა რისხვის ქვეშ მემინავი დგება ძლიერი მოწოდებით.

ზეინაბების ცრემლთა მყინვარიც გაალღვა.

ქართველის ბედის აკვანს მეტეხი არწევს.

შიგ მწოლარე ქართველს მტკვარი ნანას უმღერის.

პატიმრის არტახებში შეკრული იზრდება ამაყი შვილი საქართველოისა.

სისხლით მორწყული, სუსხად დათოვლილი ქართველის ნიადაგი მწვანით იმოსება; დაჭეარავს ქარი, გადაიყრის ღრუბელს, სუსხს მზის სითბო გაადნობს და წალკოტად ქცეული მამული მოწმედილ ცას დიდებას უგალობებს.

სანეტარო წუთები ახლოვდება. ვიქონიოთ ძლიერი ნებისყოფა და რწმენა უსაზღვრო. გვწამდეს, «რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მოძმავალი საქმე ზენა», რათგან ქართველ ერს სიკვდილი არ უწერია.

რუსთველის დამბადებელი ერი არ მოკვდება, რათგან არ უნდა მოკვდეს.

არც დავით აღმაშენებელის აღმზრდელი ნიადაგი გამოფიტულა.

დიდ მუხას დრმად აქვს ფესვები გადგმული,
მას ვერ სწვდება ძლიერი სიცხე, რომ გაახმოს,
ძას ვერ ახწევს მკაცრი სუსხი, რომ დაახროს.
მას ჭკაფავენ დაუნდობლად, ის კი ახალ და ახალ ყლორტებს იყრის და კვლავ გაშლის ამაყად მტოვებს.

განგებამ მეოცე საუკუნის ცახედ ქართველ ერს სიცოცხლე და ძლევამოსილება დაუწერა; მრავალი საუკუნოებიან უსახლოდ ტანჯულს, ჯილდოდ ბრწყინვალე მოძმავალი აღუთქვა. მას ვერ შესცვლის ვერაფერი ძალი მიწიერი.

ამ რწმენით და სიხარულით გადავსძახით საპატიმროში ქართველ ერს; ქრისტე აღსდგა! გიხაროდენ!

ასე აღსდგება ჩვენი სამშობლოც; უსაზღვრო რწმენა და თავგანწირული მოქმედება გვიახლოვებს ამ წუთს.

ხმა მოვიწოდებს, ხმა იდუმალი მამულიშვილთა ცივ სამარითგან, აღვინთოთ გულში ციური ცეცხლი სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა, განვამოთ ჩვენგან პირადი ხრახვა, განვბანოთ სული წამებულთ სისხლში და სეტაკი გულით, შეკრულნი კონად ვემეგროთ რისხვით მტრის ბნელ ურდოებს!

ალ. მანველიშვილი.

თეთრი გიორგი და მენშევიზმი

მენშევიკების დაღვევა მოულოდნელი არ იყო. მოხდა აუცილებელი: მენშევიკური პარტია სამ ურთიერთისადმი მტრულ ბანაკად გაიყო.

მენშევიზმმა დროებით დაღუპა საქართველო, მაგრამ თვით მენშევიზმი კი ამ გარემოებამ სამუდამოდ დაასამარა. მენშევიკური პარტია საქართველოს ცხოვრების სინამდვილემ დაანგრია. ასი წლის მონობით დავრდომილი საქართველოს აღორძინება მხოლოდ პატრიოტიზმით და მისგან გამომდინარე იდეოლოგიით და გრძნობით იყო შესაძლებელი. ამის მაგიერ მენშევიკები საქართველოს ანტიეროვნული პრინციპით მიუდგენ და მარქსიზმის საექსპერიმენტო საგნად ჰყვეს იგი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ვითარება მხოლოდ ეროვნულ სინამდვილეზედ და ეროვნულ მიზან-შეწონილობაზედ უნდა აგებულიყო. მენშევიკებმა კი ჩვენი სახელმწიფო უტოპიურ პრინციპთა და ავადმყოფ ფანტაზიათა სამყაროში მოათავსეს იმ დროს, როდესაც განთავისუფლებული საქართველო ახლად იბადებოდა, აუცილებელი იყო დიდად გონიერი და ენერგიული ზრუნვა მის ბედზედ: დამოუკიდებლობის დაცვა და ძლიერი მომავლის გამოჭედვა. ამ მიზნის მიხწევა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნულ ყველა რჩეულ ძალთა და ენერგიათა შემოკრებით და ეროვნული მთლიანობის განმტკიცებით. მენშევიკებმა კი ამას ამჯობინეს პარტიული ბატონობა, მათი ცენტრალური კომიტეტის დიქტატურა. ხოლო რათა უფრო ადვილად ებატონათ, ჩვენი ერი მტრულ ბანაკებად დაჰყვეს, ძმა ძმას აუმხედრეს, პროვინცია პროვინციას

1). მარქსიზმს არა სწამს ერი და მას «გაბატონებულ კლასთა» მიერ ხელოვნურად შექმნილ ფაქტორადა სთვლის. მისი რწმენით ერები უნდა მოისპონ და გაითქვიფონ ერთი ტიპის კაცობრიობაში. ერთი სიტყვით როგორც კაპიტალის, აგრეთვე ერების კონცენტრაცია უნდა მოხდეს. ბატონი ჟორდანია თავის უკანასკნელ წიგნაკში ცინიკურად აღიარებს, რომ დამოუკიდებლობა მისთვის მხოლოდ ტაქტიკაა უმთავრეს მიზნის—სოციალიზმის—მისაღწევად. ბ-ნი ჟორდანია შიშობს, რომ რუსეთის ბატონობამ საქართველოში პატრიოტიზმი არ გააძლიეროს, რაც ეროა კონცენტრაციის პროცესს ხელს შეუშლის და სოციალიზმს შორეულად ჰყოფს. ამნაირად მენშევიკებისათვის ერი მხოლოდ საშუალებაა დიდი მიზნის—სოციალიზმის მოსაღწევად.

ჩვენთვის კი ერი თვით მიზანია. თ. გიორგის მთავარი ფილოსოფიური დებულება, რომლისაგან გამომდინარეობს მთელი მისი იდეოლოგია, შემდეგია: ცხოვრების მთელი გაქანება, მთელი შემოქმედებითი ევოლუცია ბიოლოგიურ თუ საზოგადოებრივ დიფერენციაციით, გამრავალფეროვანების პროცესში გამოიხატება. ამ კოსმიური კანონის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია როგორც ბიოლოგიური, აგრეთვე საზოგადოებრივი ევოლუცია. ხოლო კაცობრიობის გადარჩევა ეროვნებებზედ ევოლუციის უაღრესი შემოქმედებაა, მისი უზენაესი და უძლიერესი გამომჟღავნება. ამნაირად ერი კაცობრიობის ბუნებრივი და საჭირო გადარჩევის შედეგია. ამ დიფერენციაციის გარეშე ცივილიზაცია ყოვლად წარმოუდგენელია. მარქსიზმის ერთა კონცენტრაცია რომ განხორციელდეს, ცივილიზაციას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ შერჩება. ეს იმიტომ, რომ საკაცობრიო ცივილიზაცია მხოლოდ კრებულია სხვა და სხვა ერთა ინდივიდუალურ კულტურა-ცივილიზაციათა, მათ ინდივიდუალურ შემოქმედებათა, ინდივიდუალური გენიისა და ენერგიისა. ამნაირად ჩვენ ვიბრძვით ქართველი ერის წარმატებისა და ძლიერებისათვის. სოციალ-დემოკრატები კი ლამობენ ჩვენი ერის მოსპობას.

2). გამოდიან რა მენშევიკები მარქსიზმის ზემოდ მოყვანილი დებულებითგან, იგინი მტერნი არიან ერის მთლიანობისა: ჰყოფენ მას მტრულ ბანაკებად და ჭადაგობენ სამოქალაქო ომს. თ. გიორგი კი იცავს ეროვნულ მთლიანობას. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გარეშე პირადი თუ კლასობრივი ინტერესებისა არსებობს უმაღლესი ეროვნული საერთო ინტერესები. ამიტომ ჩვენ გვსურს საქართველოში შევქმნათ ეროვნული სოლიდარობა, ეროვნული მთლიანობა და ამნაირად შეკონილი, შეკავშირებული ერის ენერგია ავამუშაოთ ეროვნულ დიდ მიზანთა განსახორციელებლად. ამ მიზნით თ.გ.-ს დამუშავებული აქვს მთელი სისტემა პოლიტიკური, ეკონომიური და იურიდიული ფორმებისა, რომელთა რკალში უნდა განმტკიცდეს ეროვნული მთლიანობა. ე.ი. ჩვენ გვინდა შევქმნათ ეროვნული სახელმწიფო.

მენშევიკებს სურსთ საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმი საკუთარ პარტიის ბატონობას შეუგუონ. ამიტომაცაა, რომ ასეთი გამწარებით იცავენ ცენტრალისტურ სისტემას.

თ. გიორგი კი, პირიქით, სახელმწიფო წყობილებას უგუებს ერის მოთხოვნილებას, ერის ინტერესებს. თ. გიორგისა სურს შეჰქმნას იმგვარი სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელშიაც შესძლებს ქართველი ერი თავის ორიგინალურ გენიისა და ენერგიის მაქსიმალურ გამომჟღავნებას. ჩვენი სურვილია ქართული სახელმწიფო ეროვნულ და ისტორიულ სინამდვილეზედ დავამყაროთ. თ. გიორგის სურს შეჰქმნას იმგვარი პოლიტიკური ფორმები, რომლებიც შესძლებენ ქართველი ერის ნამდვილად თავისუფალ ყოფას, რომ ჩვენი ხალხი თვით იქმნეს საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, თავისი ცხოვრების განმგებელი, და არა პოლიტიკურ პარტიათა მონა. ამ მიზნითაა რომ თ. გიორგი ღებულობს რეალურ წარმომადგენლობის სისტემას და სახელმწიფოს დეცენტრალიზაციას.

3). თ. გიორგის პატრიოტიზმი ერის აღმაფრთოვანებელ და მის მამოძრავებელ უდიდეს ფაქტორად მიაჩნია. ამიტომაც ჩვენ, თავის დროზედ, სკოლებით, ოჯახობრივ და სარწმუნოებრივ აღზრდის საშუალებით და პროპაგანდით ქართველ ხალხს უკიდურესად გავუღვიებთ პატრიოტულ გრძნობა-შეგნებას. მარქსიზმის მთელი დოქტრინა კი სავსებით ანტი-პატრიოტული შინაარსიისა.

ეს სამი დებულებაც საკმარისია, რათა მკითხველმა დაინახოს თ. გიორგულ ნიადაგზედაა თუ მენშევიზმისაზედ შესაძლებელი საქართველოს ცხოვრების აგება და წარმატება.

მენშევიზმი, როგორც ასეთი, დაიშალა. გატყდა მისი ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტი სული. მართალია, ნატეხნი ამ შხამით სავსე ჭურჭლისა, რომელიც 40 წლის განმავლობაში სწამლავდა ქართულ აზროვნებასა და სულსა, ამა თუ იმ სახით მაინც დარჩებიან. მაგრამ ვერც ერთი ამ ნატეხთაგანი, გარდა ახალგაზრდობის ნაწილისა, რომელიც საქაოველოში უკვე ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას, თავს ვერ დაახწევს მარქსის დოგმებს, რომლებზედაც მენშევიზმის მესვეურნი ბავშვობითგანვე აღიზარდენ და რომლის ნიადაგზედ შეიქმნა მთელი მათი სულიერი არსება. მენშევიზმი იყო ერთი უსაშინელესი სკოლა, მსგავსი დერვიშების სკოლებისა, რომლითგან გამოდიან სამუდამოდ გაფანატიკოსებული, დაავადმყოფებული და დაჩლუნგებული გონების ადამიანები. ამნაირად ვერც ერთი ნაწილი დღეს დარღვეული მენშევიზმისა, სხვა და სხვა სახის, მაგრამ იმავე მარქსიზმით გაჟღენთილი, ამ დამყავებული დოქტრინის მეტს ქართველ ერს სხვას ვერას შესთავაზებს.

საქართველოს განთავისუფლდება. ახალი ძალით და ენერგიით შეუდგება იგი დანგრეული ცხოვრების აღდგენას, აღმაშენებლობას. ხოლო ამ თავის შემოქმედების პროცესში იგი შეჰქმნის ეროვნულ ღირებულებებს, ეროვნულ ცხოვრებას, ეროვნული ნიჭით და უნარით, მისცემს მას ეროვნულ ელფერს, ცხოველ-ჰყოფს მას ეროვნული სულით. ასეთია უკვდავი კანონი ერის შემომქმედი ევოლუციისა: იგი ყოველივეს თავის სახის და სულის-და გვარადა ჰქმნის. ე.ი. ქართველი ერი შეჰქმნის თ. გიორგის იდეათა ქვეყანას. ჩვენი მოვალეობა კი ის არის, რომ წინასწარ დავუხატოთ მას ნაძდვილი ახე ამ ეროვნული ქვეყნისა და ვასწავლოთ მას მეთოდები ამ იდეათა განხორციელებისა.

რაც უფრო დაბლა ეცემოდა ჩვენი ხალხი და რამდენად ეტად ჰკარგავდა იგი ეროვნულ სახეს ბინძური რუსეთის გავლენის ქვეშ, იმდენად მეტად უახლოვდებოდა მენშევიზმს და უფრო ადვილი მსხვერპლი ხდებოდა მარქსის დამღუპველი დოგმებისა. ხოლო რაც უფრო აღორძინდება ჩვენი ერი, რამდენად მეტად მოიპოებს თავის ეროვნულ სახეს და მეტის ეროვნული შეგნებით აღიჭურვება, იმდენად მეტად დაუახლოვდება იგი თ. გიორგის მოძღვრებას. ხოლო ეროვნული შემოქმედების, ეროვნული გამომჭღავნების უმხურვალესს პროცესში თ. გიორგი და ქართველი ხალხი ორგანიულად გაერთიანდებიან, გაერთხორცდებიან, გაერთსულოვნდებიან, ერთი მეორეს სინონიმებად გახდებიან. ესაა ჩვენი საბოლოო მიზანი, უმაღლესი წერტილი ჩვენი მისწრაფებისა და ეროვნულ აღორძინების გარდუვალი კანონიც საქართველოს აუცილებლივ ამ წერტილამდე მიიყვანს.

მენშევიზმი წარმოიშვა და გაძლიერდა ქართველი ხალხის დაცემის, ეროვნული გადაგვარების და სიღატაკის ნიადაგზედ. ეს და მხოლოდ ეს იყო საზრდო და წყარო მენშვიზმისა. მენშევიზმის სათავე პირველ-ყოფილი წყარო მისი წარმოშობისა უნდა ვეძებოთ იმ რუსულ „გოროდოვოიში“, რომელიც 1805 წელს პირველად გამოჩნდა თბილისის ქუჩებზედ; იმ რუსის მოხელეში, რომელიც ქართველ გვარებს რუსული დაბოლოებითა სწერდა; იმ ქართველ ინტილეგენტში, რომელიც პირველი აღიზარდა რუსის „გოროცკოი უჩილიშჩაში“ და პირველმა გაურია რუსული სიტყვები კეთილ-შობილ ქართულ ენაში; ერთი სიტყვით იმ რუსოფიკაციის ატმოსფერაში, რომელიც რუსის მთავრობამ შეჰქმნა ჩვენს ქვეყანაში. ხოლო როცა ეს ნიადაგი მენშევიზმს ფეხებითგან ეცლება და საქართველოს ეროვნული შეგნება ღრმავდება მენშევიზმი ემხობა ძირს, ინართხება დედა-მიწაზედ ვით ფესვებ გადაჭრილი მცენარე.

თ. გიორგის გამარჯვების ნიადაგი, ცხოველმყოფელი ძალა, რომლისაგან უნდა აღმოცენდეს თ.გიორგული ეროვნული სახელმწიფო, თ.გიორგული პოლიტიკურ-ეკონომიური წყობილება,-ჩვენი ხალხის ეროვნული შეგნების ევოლუციაა.

ხოლო ეროვნული შეგნების მხრივ ეცემა თუ აღორძინებას განიცდის დღეს ქართველი ერი? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მენშევიკების დარღვევა და თეთრი გიორგის პროგრესიული გაძლიერება თავის თავად დიდი სიმპტომია და მომავლის მაჩვენებელი. საქართველოს ეროვნული მაჯა უფრო და უფრო ძლიერადა სცემს. ნივთიერი ნგრევით ერი არ მოკვდება, თუ მისი სული ძლიერი და მტკიცეა. თ.გიორგი ცოცხალი გამომსახველია საქართველოს სულის სიძლიერისა და მატარაბელი იმ იდეათა, რომელზედ უნდა აშენდეს საქართველოს მომავალი. ხოლო ამ უზენაეს იდეათა კონას ეწოდება ინტეგრალური ნაციონალიზმი.

ლეო კერესელიძე.

დეზერტირების პარტია

აი რას ჰქადაგობს ერთი დიდი წარმომადგენელთაგანი მარქსიზმისა „ამხ“. ბაუერი: „წარმოსადგენია—სხვა და სხვა გზები სოციალიზმისაკენ. წარმოსადგენია ის გზა ძალმომრეობის, დიქტატურის, ტერორის, რომლისაკენაც იზიდავს ყველა ქვეყნის მუშათა ფართე მასებს რუსეთის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მაგალითი. დიახ, ჩვენ ვერ უარვყოფთ, რომ ამ გზითაც შესაძლებელია ჩამოერთვას კაპიტალისტებს საწარმოო საშუალებები, დამსხვრეულ იქმნას შეძლებულ კლასების საკუთრების და განათლების მონოპოლია, მოხდენილ იქმნას ცდა კაპიტალისტურ ანარქიის შეცვლისა პლანით გაზომილ ორგანიზაციაზე აგებულ საზოგადოებრივი წარმოებით„. (1932 წ. „ბრძოლის ხმა“ ნომ. 20 გვ. 2 წ. კ. კაუცკის)

საჭიროა დაუკვირდეს ადამიანი ამ სიტყვებს ბაუერისა, რომ უმალვე მიხვდეს, რომ სოციალიზმის გზა და მიზანი უფრო მოსკოვურია, რათგან იქ „ჩამოერთვა კაპიტალისტების საწარმოო საშუალებანი და შეძლებულ კლასების საკუთრების მონოპოლია“ და რათგან მოსკოვი „იზიდავს ყველა ქვეყნის მუშათა ფართე მასებს რუსეთის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მაგალითი“. აი ეს არის სიბრძნე ყველა სოციალისტებისა და ბოლშევიკებისა და კერძოდ ჩვენი მენშევიკებისა, რომელთაც ეს აზრი უკვე განახორციელეს საქართველოში ყოფნის დროსა სადაც უკვე ვნახეთ მათი ექსპერიმენტები: ტერორის საშუალებით ამოხოცეს საუკეთესო ქართველობა, მათ შორის ილია ჭავჭავაძე და ხიზანაშვილი; ამოყლიტეს ცოლშვილიანად თავადების ოჯახები; ჩამოართვეს შეძლებულთ ქონება, გააჩაღეს კლასთა ბრძოლა. მენშევიკებს ბედმა არ დააცალა, რომ ქვეყანა მთლად გაენადგურებიათ, მაგრამ სულ ერთია, მათი მიზანი მათმა ძმებმა განახორციელეს. ამიტომ ბაუერისა თუ კაუცკის ეს აზრები ჩვენი სოციალისტებისათვის ახალი ხილი არ არის და ამიტომ თავიანთ ჟურნალში «ბრძოლის ხმა»-ში ახლაც დიდი სიამოვნებით და თავისუფლად ბეჭდავენ.

დიახ, ყველა სოციალისტების გზები მოსკოვში იყრიან თავს, მაგრამ ჩვენ გვიკვირს, რომ ნუ თუ კვლავ არიან თვალახვეულნი მენშევიკების მიერ და მათი ასეთი საქციელი მიაჩნიათ სწორად და საღად? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთნი მხოლოდ სოციალისტები არიან, ფანატიკოსნი მარქსიზმისა და რუსული სულისკვეთებით გამსჭვალულნი, რომელნიც, თუ დაუდგათ კვლავ დღე მზიანი, რაც გადარჩათ რუსებს, იმ ქართველ მამულიშვილებსაც უწყალოდ დაკლავენ. ვისაც არ სწამდა საქართველოს თავისუფლება, ვინც უბინაო მაწანწალა იყო ჩვენს ქვეყანაში, ის ეწერებოდა სოციალ-დემოკრატების პარტიაში და ფიცი ჰქონდა დადებული მარქსის ქითაბზედ, რომ ქვეყნის პროლეტარებს, ტერორისტებს და მაწანწალებს ხელს გაუწვდიან კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია უყრიდა თავს საქართველოს ყველაზედ უვიც და მავნე ელემენტებს. ეს პარტია იყო აგრეთვე დეზერტირების პარტია. თვითჩვენი ჯოჯოხეთი დაცალიერდა და დემონებმა აქ მოიყარეს თავი. მან ბოლოს უღალატა საქართველოს და მიუგდო საძიძგნად ქართველების სისხლით ხელ-შეღებილ რუსებს და თავისი სახელოვანი მთავრობით გამოიქცა საზღვარ გარედ. ეს არის ჩვენი ახალი ისტორია? ამისი მომსწრენი არიან ახალგაზრდა ქართველები და კვლავ მენშევიკების იმედი აქვსთ? საქართველოს არ ახსოვს ისეთი ლაჩრობა, როგორიც მენშევიკებმა მას გამოაჩენიეს, არ ახსოვს მთავრობა ისეთი უტვინო და უმეცარი, როგორიც მენშევიკების მთავრობა იყო. ჩვენი ისტორიული ტერიტორია ზოგი სომხებს უთავაზეს, ზოგი ადერბეიჯანის თათრებს მისცეს, ზოგი ოსმალეთს უფეშქაშეს და ბოლოს მთლად, უბრძოლველად დაუთმეს „ბოსიაკ“ რუსებს. საერთო ფრონტის ჩინოვნიკ-პატრიოტებმა კი დავით-აღმაშენებლის გვირგვინიც კი დაადგეს თავზედ ნ. ჟორდანიას, რომელმაც ყველაზედ უფრო გაადეზერტირა ხალხი და მერე საქართველო კაცისმჭამელა რუსებს მიუგდო.

ჩვენ არა გვგონია ჭკუათმყოფელი იყოს კაცი, რომელსაც ოდნავი სიმპატია მაინც ჰქონდეს სოციალისტების მთავრობისადმი და სწამდეს კვლავ, რომ მენშევიკები მომავალში რაიმე სასარგებლო საქმეს გააკეთებენ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

სირცხვილი იმ ქვეყანას არ მოსცილდება თავითგან, რომელმაც წარმოშვა მენშევიკები. ეს სივერაგე მთელი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი გამომზეურდა. რაც რამ იყო გადაგვარებული სულით, საკუთარი ქვეყნის უარმყოფელი და რაც უვარგისი ელემენტები იყო საქართველოს ზურგზედ, ყველამ თავი მოიყარა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ჩვენი ქვეყნის უბედობამ მათ ჩააბარა საქართველოს მმართველობა, რომელთაც დაღუპეს საქართველო, როგორ უნდა ამოიერეცხოს ქართული ისტორიითგან მენშევიკების სახელი? ჩვენი საამაყო ისტორია ხომ შეისვარა ტალახით სოციალ-დემოკრატების მიერ?

მაგრამ მენშევიკები მოისპობიან და ამით ჩვენს ქვეყანას ასცილდება მომავალში ეს შეუნელებელი ჭირი და სამუდამოდ ამისგან მაინც განიკურნება იგი.

ჩვენ ყველანი მომაკვდავნი ვართ, ხოლო უკვდავი არის იგი, ვინც სამშობლოსათვის თავი გასწირა, და მისთვის გააკეთა დიდი და საშვილიშვილო საქმე. იგი იქმნება დაუვიწყარი ერის ხსოვნაში, და ამიტომ არის, რომ საქართველოს მეფეებს, გმირებს და წმიდანებს ქართველობა არ ივიწყებს, მაგრამ აროდეს მოიხსენიებს სამშობლოს დეზერტირებს, ისე რომ მათ წყევლა და ზიზღი არ გაატანოს თან. ამ უკანასკნელთა რიცხვში მენშევიკებიც არიან როგორც დეზერტირთა პარტია, და ამ ხირცხვილს კი ვერ მოიშორებს დღევანდელი ქართველობა და განსაკუთრებით ახალგაზრდობა მანამდე, სანამ მათი სახსენებელი სამუდამოდ არ მოისპობა.

ბეჟან გიორგაძე.

ქართველთა ასოციაცია პარიზში

თვით სახელწოდება «ასოციაცია» თავის თავად ღაღადებს, რომ იგი არის თავის ნებით მეგრთებულ ადამიანთა საზოგადოება საგრთო მიზნეგის მისაწვევად, მაგრამ იშვიათად მოიმენდა ისეთი დაშლილი და დაბნეული ადამიანთა გრებული, როგორიც ჩვენი «ასოციაციაა». არ შეიძლება არსებოდეს სადმე ასეთი დამბლა დაგმული, უშინაარსო, უსაქმო და ყოვლად გამოუდეგარი დაწესებულება. ექვსი წელიწადია, რაც «თეთ. გიორგი» აცხადებს, რომ ნიადაგი ამ საზოგადოების აღმოცენებისა და არსებობისა არის ყოვლად ყალბი და გამოუსადეგარი საერთო საქმისათვის.

ამიტომაც არ ღეღეულობს «თეთრი გიორგი» არავითარ მოწაწილეობას იმ კომედიაში, რომელსაც ჰქვია «კოლოსიის არჩევნები». ჩვენ არც გამგებობაში შესვლა გვსურს, ის პორტფელების მაძიებელთათვის დაგვითმია,—არც ჩარევა გვსურს მათ «საქმიანობაში».

ჩვენ ყოველ საჭირო შემთხვევაში, ყოველ ქართულ საქმეში გავწევთ ხაესახურს, თუ ამას ჩვენ დაგვავალებენ ან სხვათა დაუკითხავად შევძლებთ, რათგან «საქართველო უწინარეს ყოვლისა» არის მასაზრდოებელი ჩვენი მოქმედებისა და აზროვნებისა. ჩვენი აზრი, რომ ნიადაგი ამ ასოციაციისა ყალბია, ვინაითგან ის პარტიებზედ არის აგებული და არა ყველა ლტოლვილთა ინტერესების დაცვაზედ და მოვალეობედ, სავსებით გამართლდა.

3 აპრილს შემხვდარ კრებაზედ თავმჯდომარემ, ყოფილი «მენშევიკური» მინისტრის, და ისიც განმარტა, რომ ... დება, რომ «გამგეობა რაღაც მოჯადოებულ ხრეში მოხვდა და ვერ გავარღვიეთ ეს საიდუმლო ქსელი»-ო, ადასტურებს ჩვენ აზრს ამ დაწესებულების სრული სიყალბისა და უვარგისობის შესახებ. უპარტიო, ფსიხელი გონების ახალგაზრდის შეკითხვაზედ: —რა ჯადოსა ბრძარეგთ, ვერ გავიგეთ, —ჯადო ხდაბრეგში გაგვიგიდნიაო», თავმჯდომარემ იგივე განიმეორა და არ განუმარტა, იმიტომ კი არა, რომ არ იცის, რა ჯადოხვდაა ლაპარაკი, არამედ იმიტომ, რომ ამ ჯადოსხეური რკალის ერთი რგოლთაგანი თითონ ბრძანდება და მთელი ჯადოსნური რკალი სოციალ-დემოკრატიული პარტიაა რომელმაც ეს ბოროტი ჯადოსნური რკალი ქართველ ერს შამოარტყა და ამ 40 წლის განმავლობაში უჭერს, მაგრამ ქართველმა ეროვნულმა სულმა, უძლეველმა და უკვდავმა, გაარღვია საქართველოშიაც და აქაც, ემიგრაციაში, ეს რკალი, ხოლო მიგ მოქცეული თვით ეს მარქსისტები, ბოლშევიკმენშევიკები ისრჩობიან ამ ჯადოთი. ცხოვრებამ დაამხო იგინი პირქვე, დაგლიათ ხიცრეისა და ყბედობის სალარო, გამოიფიტნენ, დაიღალნენ და საქმის კეთების შნო ეარი და. ცოდნა აკა როდის ჰქონიათ, რომ ლტოლვილეგამი გაათგმეულ ხიძნელეთ მორჭოდეს. მათი ხელოვნა და საქმიანობა ნგრევა, უარყოფა, ინტრიგა, ქაბეზობობა, ცილის წამება და იეზუიტური ინიბაზობა, ხიცრეა, ხიყალბე და თვალთ-მაქცობაა. საქმე კი არაფერი გვინახავს მათგან გაკეთებული. თუ რამე გაკეთდა,—მათი სურვილის წინააღმდეგ, სულ კერძო პირთა პირადი თაოსნობით გაკეთდა. რომ ეს უფრო ცხად ვყოთ, მოვიყვანოთ მაგლითები: ა) ჭლექით დაავადმყოფებულთა დამხმარე საზოგადოება ქ. ელენე აფხაზისა, წამებული კოტე აფხაზის მეუღლის თავმჯდომარეობით და მასთან ერთად სხვა პატივცემულ მანდილოსანთა თაოსნობით და საქმიანობით არსებობს და წარმოგვს. ბ) ეკლესია ილ. დადეშქელიანის და იოს. კეშულიარიას დაუღალავი შრომით და მოღვაწეობით და: რსდა, გ) ქართველ მოვარჯიშთა «შევარდენი» შოთა ნიკოლაძემ და მისმა მეუღლემ ქ-მა მგდეიამ, ღამბაშიძის ასულმა შექმნეს. დ) პატარა სამკითხველო ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებამ გახსნა. არც ერთი ამ დაწესებულების შექმნაში არავითარი ღვაწლი და შრომა არ მიუძღვის ასოციაციის გამგეობას. დაარსდა კერძო თაოსნობითვე უმუშევართა დამხმარე კომიტეტი.

ამ გამგეობის ხელოვნად შეიქმნა მზოლოდ 26 მაისს უფერულად და უხალისოდ, ისიც ფას გადახდით, დღესასწაულის მოწყობა და აგვისტოში 1924 წელს აჯანყებამი დახოცილთა პანაშვიდის გადახდა. აი მთელი მისი «საქმიანობა»! განა არ შეუძლიათ! პირად საქმეში, პირად ხარგებლიანობაში ზოგიერთნი უკეთესი საქმის და გამოჯგლობის კაცებად გამოდგენ, ვიდრე «მინისტერებად», მაგრამ საქმე ის არის, რომ სადაც კი ნოე ჟორდანია და მისი მარქსისტთა ხროვა შეჭყოფს ცხვირს, იქ ყველაფერი უნდა დაიმალოს, დაინგრეს. მათთვის არ არის ხელსაყრელი და სასურველი, რომ არსებობდეს რამე სხვა, გარდა მათი პარტიისა. ასოციაციამ და მისმა გამგეობამ რომ რამე გააკეთოს, შეძლოს გამოჩენა საქმინნობისა და მედეგები შუშაობის სასარგებლო მეიქმნეს, მაშინ ხომ დაეცა პრესტიჟი მთავრობისა და მაშასადამე პარტიისა.

მთავრობასა და ს.-დ. პარტიას ჩვენ არ განვასხვავებთ, რათგან ეს ვერც მათ შე ძლეს. მთავრობა და პარტია ერთი და იგივეა დღესაც, როგორც ყოველთვის იყო. და ამის მეტ-მეგეს დღესაც ისევე განიცდის საქართველო, როგორც წინად. ვერავინ ვერ უნდა შეხძლოს ვერაფერი, გარდა მათისა, ვერავინ ვერ უნდა უშველოს ვერავის, გარდა მათი, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ მათ იქით გზა არ არის; ამათ გარდა არც არავინ არის და არც არავის შეუძლია რამ და თითონ კი აკეთებენ რასმე, ან გააკეთეს? საგარეოზედ ჯერ არას ვიტყვით, აბას თავის დროზედ მოვახსენებთ, სამინაო კი აბა გვიჩვენონ რამე მათი ნაქმნარი. ერთს ავადმყოფს თუ უაქიმეს (სოციალ-დემოკრატი არა გვყავს სახეში, ეს ხომ სხვა კაცია, ღვიძლი შვილი, სხვები კი ბერები) მოარჩინეს, თუ აქვსთ სადმე რომელიმე საავადმყოფოში ერთი ლოკინი მაინც. ერთი სტუდენტი თუ გაზარდეს! სხვას თავი დაანებეთ, სარდაფში წიგნეი ულპეგათ და ერთი პატარა სამკითვველო ვერ გაუხსნეს, მაშინ როდესაც არ არის არც ერთი ერის ემიგრაცია, რომ რამე ასეთი არა ჰქონდეს პარიზში. თითონ კი საგარაკოდ დაბრძანდებიან, ჯამაგირეგს ირიგებენ, საქართველოდგან გამოტანილი რაც ჰქონდათ, ის დაელიათ და ახლა ათასჯერი ინიბაზობით გარეშე სახელმწიფოებს ხციცქნიან ფულებს და კეთილ ცხოვრებას ეტანეკიან თითონ და სხვებმა კი თავში ქვა იხალონ, რა ენაღვლებათ!

3 აპრილის კრებაზედ, თავმჯდომარის მიერ სიმართლის აღსარეგის შემდეგ, ვერაფერს ვერ ვაკეთებთო, ერთმა ბრძენმა წევრმა განაცხადა, ავირჩიოთ კომისია გამგეობის უმოქმედობის მიზეზების გამოსარკვევადო! თუ სადმე გაგონილა ასეთი კომისია!? მე ღრმად ვარ დარწმუნებული, არც არსად გაგონილა და ვერც ვერავინ ვერსად გაიგონებს, თუ არა ჩვენს დაჩაჩანაკებულ, ოგზოდებულ საზოგადოებაში. როდესაც გამგეობა ვერაფერს აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ ვარგა და უნდა გადაყენონ. გამგეობის წევრების შემამოწმებელ კომისიას ბევრი მიზეზები შეიძლება აღმოეჩნდეს შეურაცმყოფელი გამგეობისა. მაგრამ ამ განცხადების შემოტანს ბ. ალ. ასათიანს თვით კარგად ესმის ღირებულება ასეთი განცხადებისა და, რაც მთავარია, მან კიდევ უკეთ იცის ყველაფრის მიზეზიც, რადგან ჯერ ეუშინ ამხელდა მათ საჯაროდ სიტყვით და კალმით, მაგრამ დღეს, ვითომც არაფერი არ იცის, კომისიას თოლულობს! ასეა, ჯერ მენშევიკი რაა და გამენშევიკებული ერეოვნულ-დემოკრატი რაღა იქნება! ერთმა წევრმა გულახდილად განაცხადა, დაავადმყოფებულნი, დავრდომილნი ვართო, და ამას სოც.-დემოკრატია გრ. ურატაძემ დასძინა,—შეტიცა გვჭირს, ცალი ფეხი სამარეში გვიდგიაო, და ამ ავადმყოფთა წრიდგან არჩეული ექიმები ხომ ვერ განვკურნავენო. მართალია! ურატაძეს და მის «ამხანაგებს» ვერა განკურნავს რა, რათგან თვით არიან ის მიკრობები, რომლებიც სწამლავენ საქართველოს დიდი ხანია, და ქვეყანა მხოლოდ მამინ განიკურნება, როდესაც მეორე ფეხსაც ჩადგამენ იქ, სადაც ერთი უკვე მათივე სიტყვით ჩადგმული აქვსთ. ეროვნული სული, რომელიც ქარიშხალივით დაჰქრის საუკეთესოდ მამულიშვილთა სისხლით მორწყულ საქართველოს მთა-ველებზედ, წარხდეს ახლო წარსულში დაგროვილ ბოლშევიკმენშევიკურ ნაგავს. და თუ მარქსისტების ჟურნალი «ძოგზაური» 1905 წ. ილიას სიცოცხლეშივე ამბობდა მაზედ, «საუკუნოდ იყოს ხსენება [მისიო, ზვალინდელი საქართველო მაზარაძე-ჟორდანიას და ძმათა მათთა უგალობენს სულთათანას და უსურვებს «საუკუნო ხსენებას». ჩვენი საზოგადოება

იმდენად ხავს-მოკიდებულია, იმდენად მოდუღებულია, რომ ვერაფერს ვერც ხედავს და არც ხურს დაინახავს.

თავშესაქცევად, არჩევნიგის მოსახდენად, ხალაყბოდ და მჭერმეტყველების გამოსაჩენად მიუგდეს ასოციაცია ხიდ-დემოკრატიგამ მას, და ის კი კომისიებს ეძებს «მიზეზების» გამოსარკვევად. სანამ პარტიათა ძალების მეჯიბრეების ასპარეზია ეს საზოგადოება, სანამ პარტიულობის ნიადაგით-გან არ გადადგება საზოგადოების წევრი, სანამ საერთო ინტერესს, საშინელ განსაცდელში ერთმანეთის შველის საჭიროებას არ შეიგნეს იგი, მანამ ეს საზოგადოება ვერც ვერაფერს მიაღწევს და ვერც ვერაფერს გააკეთებს. ეს კი შეიძლება მსოლოდ წმინდა ეროვნულ ნიადაგზედ დადგომის საშუალებით. მანამდე ვერც ერთი კომისია ვერ უშველის და ვერც ერთი ექიმი ვერ განკურნავს სნეულებისაგან ამ საზოგადოებას, რათგან იმ სნეულების წამალი რომლითაც ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილია დაავადმყოფებული, არის მხოლოდ ეროვნული მეცნიერება და საერთო ინტერესამდე ამაღლება.

მიგოგბარი.

ქართველ-კათოლიკეთა

საკითხი 1)

ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისით

თავი პირველი

ქართველ-კათოლიკობის ისტორიული

მიმოხილვა

მიხ. თამარაშვილი თავის დიდ ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს უზვ და მდიდარ დოკუმენტებს არა მარტო აღძრულის, არამედ სხვა მრავალ საკითხების შესახებ, კათოლიკობის ისტორიას საქართველოში იწყებს მე-13 ს ითვან, რათგან ფიქრობს, რომ საქართველოს კლესია რომის ეკლესიისაგან ბერძნებთან ერთად (ე.ი. 1054 წ.) არ განცალკევებულა. ამის იურიდიული აქტი არც ერთ დროისთვის არ მოგვეპოვება, სოლო პრაქტიკულად სწორედ შემდეგ უნდა მომხდარიყო და ეს უნდა მომხდარიყო უთუოდ მე-13 ს-ძდე, რათგან ამ დროს რუსუდან მეფის და პაპის მიწერ-მოწერა ამას გულისხმობს.

წინამდებარე თხზულების მიზანს არ შადგენს მეცნიერული შესწავლა ქართველ-კათოლიკეთა კენეზისის, არც რომისა და საქართველოს ეკლესიათა განცალკევების იურიდიული თუ ფაქტიური აქტების. ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენ დაგკმაყოფილდებით მხოლოდ რეალური ფაქტების აღნუსხვით და იქითგან მიღებული დასკვნებით ვიხმარ-ოვანელებთ ჩვენი ერის ცხოვრებაში არსებულ ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენის ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისით შეფასების დროს.

კათოლიკეთა ისტორიის მკვლევარნი საქართველოში, ფიქრობენ, რომ კათოლიკობა საქართველოს ძველი დროითგანვე შერჩა; რომ შემდეგ საუკუნეებში და დღესაც არსებული კათოლიკობა არ არის შედეგი მხოლოდ უამრავ მისიონერთა მოღვაწეობის, რომ თითქოს მისიონერთა საქართველოში მოსვლამდეც უნდა ყოფილიყო ნამთი კათოლიკობისა.

დღეს ჩვენთვის არც ამ საკითხის შესწავლაა საინტერესო 2) ის კი ცხადია, რომ 1233 წლითგან მოყოლებული მე-19.ე საუკუნის მეორე ნახევრამდე რომის მისიონერები ხშირად ეხმარებოდენ ხოლმე საქართველოს.

ამ დროითგან იწყება კათოლიკური მოძრაობა საქართველოში და კათოლიკურ მოღვაწეობას არსად არ გამოუღია იმდენი დიდი კულტურული და ზნეობრივი ნაყოფი, როგორც მოზდა საქართველოში. კათოლიკურ ეკლესიას და კათოლიკეთა მისიონერებს არსად არ დაუმსახურებიათ იმდენი სიყვარული და პატივისცემა, როგორც საქართველოში და არც ერთ არა კათოლიკე ერს არ ჰქონია იმდენი პატივისცემა და მეგობრობა რომის ეკლესიასთან, როგორც საქართველოს, მის მეფე-მთავრებს და მთელ ერს.

ამის მიზეზი, როგორც ქვემოდ თავ-თავის ალაგას გამოირკვევა, ორია: ერთი მდგომარეობს თვით ქართველთა რასის რაინდულ კაცთ-მოყვარე ბუნებაში, რომელსაც უდაოდ ისიც ხელს უწყობდა, რომ ქართველთა ეკლესიას და რომს აროდეს ჰქონიათ ისეთი მეხლა-შემოხლა, როგორც ეს ბერძენთა ეკლესიას მოუხდა და, ცხადია, ის ბრმა ზიზღი და მტრული განწყობილება, რომელიც ყოველთვის თან ხდევს სარწმუნოებრივი განხეთქილების ორ მოპირდაპირე ბანაკს, ქართველ ერში სხვა ეკლესიისადმი არ ყოფილა.

მეორე უფრო ძლიერი ფაქტორი, ჩვენის აზრით, როგორც აგრეთვე ქვემოდ დავრწმუნდებით, არის წმინდა პოლიტიკური, ხოლო ნაკლებ კულტურული.

საქართველო, რომელიც ყოველთვის მომწყვდეული იყო ორ დიდ მსოფლიოს შესაგრებელ პუნქტში, თავითგან, ვე პოლიტიკური ბრძოლისა და აზროვნების სარბიელზედ ხშირად მიმართავდა გაორგის გზას.

დასავლეთით ქრისტიანული სამყარო, ხოლო აღმოსავლეთით ისლამის რეზიდენცია. აი ორი სულიერ-ზნეობრივი სათავე, რომელიც ფლობს სამუალო საუკუნეების კაცობრიოგას. არაკეთის, სპარსეთის და ოსმალეთის დაბყრობითი პოლიტიკა ასაზრდოებს ისლამის სულის შეჭლას ქრისტიანიზმის მორალთან.

ხაუკუნენი, რომელთა ბრძოლების დროშეკი სამშობლოსა და რელიგიის იდეალით ფრიალებენ, დიდი გავლენის ქვეშ არიან სარწმუნოებისა.

იმ დროინდელ ბრძოლების ხასიათისთვის გადამწყვეტს თუარა, საგრძნობ ფაქტორს წარმოადგენდა სარწმუნოება. ჯვაროსანთა პირველნი ლაშქრობანი ქრისტიანული სიმბოლოგით იმოსებოდენ.

და პატარა ქრისტიანული საქართველო ამ ორი დიდი ქვეყნის ფიზიკური და ზნეობრივი ტალღების შესლის დროს, ვით ნაფოტი, ხან ერთ მხარეს ეხლებოდა და ხან მეორეს.

ძლიერი აღმოსავლეთის მიმით საქართველოს სამეფლად ხელი მუდამ დასავლეთისკენ ქონდა გამეფრილი. ხოლო, რა იმედი გაუქრებოდა, კვლავ ლოიალობის გზას დაადგებოდა ხოლმე. იწყებოდა ზეინაგობა და ქრისტეს ტირილი; და სდუმდა ერი, სანამ ახალი ტალღა კვლავ არ ეხეთქებოდა. ამიტომ გასაოგარი როდია, რომ ამ ლოიალობის დროსაც თუმცა ეს მას ძალიან ხელს უშლიდა, მაგრამ მაინც დასავლეთთან კარგი ურთიერთობა მისთვის კიდევ ერთგვარი ნუგეში იყო. ამ ურთიერთობის შუამავლობა სწორედ მთელი საუკუნეების განმავლობაში ბერძენ მეფეებმა შეასრულეს. ამიტომ ვიმეორებთ, გასაკვირველი არ არის, რომ ქართველნი მართლმადიდებელნი მეფენი, მთავრები, მხედრები და ხშირად ერის კაცნიც ერთსა და იმავე დროს იღებდენ ისლამს, უერთდებოდენ მაჰმადიანობას, მაგრამ ნამდვილად ისევ ქრისტიანები რჩებოდენ, ხოლო ამავე დროს იღებდენ კათოლიკობას ჩუმად და მათ დიდ დახმარებასაც უწევდენ. განსაკუთრებით მე-16-18-ე საუკუნეთათვის ეს დამახასიათებელია. ხოლო ერთგულება და პატივისცემა რომის ეკლესიისადმი, ზოგიერთ გამონაკლისებს გარდა, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა, მიუხედავად იმისა, ეკლესიის შეერთების მომხრე იყო თუ არა.

რუსუდანის მეფობამდე (თუ მართლა ამ დროს ეკლესია ახლად იყო გაყრილი) დაბადებულა აზრი რომის ეკლესიასთან შეერთების. ეს ჯერ გამოხატა ცნობით, რომელიც გულისხმობდა მათ მორის დიდ მეგობრობას. ამაზე 12 მაისს 1224 წ, პაპი ონორიო მე-3-ე სწერს რუსუდანს: «უფლისამებრ დიდა განვიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტიანეთა»...და სხვ..

როგორც ირკვევა, ეს საკითხი ისევ მოძმეფებულა, რომ შემდეგ ქართველებს რომთან შეერთებაზეც მიუწერიათ. ამის შესახებ დაცულია 13 იანვრის 1240 წ. პაპის გრიგოლ მე-9-ის პასუხი რუსუდანისადმი, სადაც სწერს: «...ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თხოულობთ ჩვენთან შეერთებას, ამაზედ დიდად ვაქებ თქვენს დიდებულებას, უკეთუ აქამდე თქვენი ცხოვრების სისრულეს რამ აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულყოფს და მასთანავე აგვირგვინებს ჩვენს სიხარულსაც, რომლის მიზეზიც თქვენ ხართ». 1) შემდეგ ამ წერილში გადაშლილია ერთი დიდი ეკლესიის თეორია და ამასთანავე პაპი აცნობებს, რომ ის აგზავნის რვა მისიონერს და სთხოვს შეეწეს მათ მეფარველობას.

მამასადამე ამ დროითგან იწყება მისიონერების ფაქტიური მოღვაწეობა საქართველოში. 2)

იმ დროის ყველაზედ უძველესი ეკლესია დაცულია ანალეგიზეში, რომელიც მ. ბროსსეტის სიტყვით უნდა ეკუთვნოდეს 1298 წელს. 3)

ეს პირველი მისიონერები, პაპი გრიგოლ მე-10-ე რომ სწერს რუსუდანს, იყვნენ წესით დომინიკიანელი. ეს მისიონერები მოვიდენ საქართველოში და რუსუდანმა ისინი დიდის პატივით მიიღო, აღმოუჩინა მორალური თუ ნივთიერი დახმარება და მისცა სამუალება მოღვაწეობისა.

მისიონერები იწყებენ მოღვაწეობას ჩქარა კულტურული გზით, სწვრთნიან ხალხს სულიერად, ექიმობენ და სხვ.. და იჩენენ ნელ-ნელა მრავალ თანამოაზრეებს. ამ დროითგანვე ძალიან ბევრი ქართველი უახლოვდება კათოლიკობას და უერთდება კიდეც. ეს ადვილად ხდებოდა, რათგან ამას არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდა წინ. საეკლესიო და საღვთის-მსახურო წესები არაფერ ახალს და უცნაურს არ შეიცავდენ და, მეორე მხრით, ერი თავის მოქმედებაში თავისუფალი იყო. პარალელურად გაკათოლიკებულთან ხშირად იგადებოდა და მწიფდებოდა რომთან შეერთების საკითხი არა მარტო მეფე მთავართა მორის, არამედ სახელიერო წრეებშიაც. იმავე მე-13-ე ს. მეორე ნახევარშიაც ეს საკითხი იქამდე პოპულიარული ხდება, რომ ამის შესახებ რომის პაპსა და თვით ქართველთა კაიალიკოზს მორისაც ხშირი მიწერ-მოწერა სწარმოებს. მაგალითად 7 ივლისს 1298 წელს პაპი ნიკოლოზ მე-4-ე სწერს საქართველოს კათალიკოზს წერილს ეკლესიის შემოერთების შესახებ და თან ავფდრებს ანალად გამოგზავნილ მისიონერების შველა-დახმარებას. ამ წერილის თითო პირს უგზავნის აგრეთვე საქართველოს ყველა მთავარ-ეპისკოპოსთ, ეპისკოპოსთ და არქიმანდრიტებს.

ის, რომ მართლმადიდებელთა მორის კათოლიკოზის გასავრცელებლად გამოგზავნილ მისიონერებისთვის დახმარებას პაპი ამავე მართლმადიდებელთა კათალიკოზს სთხოვს, მაჩვენებელია მართლაც მათი გულწრფელი კეთილ-განწყობილებისა

ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება საქართველოში წვრილ-წვრილი კათოლიკური სამრევლოები, რომელთაც მწყემსავენ რომის კათოლიკე პატრები, ხოლო შემდეგ ჩნდება ადგილობრივი სამღვდელოებაც,—ზოგნი გაკათოლიკებულნი და ზოგიც მღვდლად აღზრდილნი. არა მარტო ადგილობრივი საჭიროებისათვის, —საქართველოს კათოლიკეთა მორის ამ დროითგან ჩნდებიან ისეთი თავდადებული პირები, რომლებიც სხვა რომაელ მისიონერებთან ერთად შორეულ აღმოსავლეთშიც მოგზაურობენ სარწმუნოების გასავრცელებლად. 1321 წელს 13 აპრილს ინდოეთში აწამეს ოთხი კათოლიკე მისიონერი და მათ მორის ერთი იყო ქართველი ძმა დიმიტრი ტფილელი.

სჩანს მე-14 ე საუკუნეშიც ქართველი მეფეები ხელს უწყობდენ მისიონერებს მოქმედებაში, და ეკლესიის მეერთების საკითხიც ისევ სცოცხლობს. 15 ოქტომბერს 1324 წ. პაპი იოანე მე-22-ე სწერს გიორგი ბრწყინვალეს და მის თავადებს ეკლესიის შეერთებაზედ. გიორგის საპასუხო წერილი დაკარგულია და არ ვიცით რას სწერდა, ხოლო ის კი ვიცით, რომ გიორგი ბრწყინვალეც დიდად ხელს უწყობდა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას, და ამ დროსთვის კათოლიკობის გავრცელება საქართველოში უკვე საგრძნობ საქმედ იქცა ვატიკანისათვის. და პაპისა და პროპაგანდის წინამე ისმება საკითხი საქართველოში კათოლიკეთათვის საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შესახებ. როგორც წყაროებითგან ირკვევა, ეს მოთხოვნილება გამოწვეული ყოფილა საქართველოში კათოლიკეების გამრავლებით, რომელიც მოითხოვდა სათანადო მოვლას.

---

1) ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდება ავტორის აღნიშნული სათაურით დაწერილი თხზულების ზოგიერთი თავები.

2) თუმცა ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ეს ფრიად საინტერესო საკითხია და შესწავლის ღირსი.

---

1) იხ. მიხ. თამარაშვილის «ისტორია კათოლიკობისა ქართველთა მორის» გვ. 16. ტექსტები გვ. 568.

2) იმავე გრიგოლ პაპის წერილითგან სჩანს, რომ საქართველოში მისიონერები ადრეც ყოფილან, სახელდობრ 1233 წელს და განსვენებული მ. მიხ. თამარაშვილი გაკვირვებულია, რა უნდოდათ ამ დროს აქ მისიონერებს, თუ მეკლესია გაყრილი არ იყოო! და ფიქრობს, რომ შეიძლება ისინი კავკასიის სხვა ხალხებში საქადაგებლად ყოფილნენ მოსულნიო.

3) იხ. მ. ბროსსეტის «ქართლ. ცხოვრება» ნაწ. I გვ. 182 1985 წელს. ტფილისი.

პაპის იოვანე მე-22-ის სპეციალური დეკრეტით 9 აგვისტოს 1328 წ. ქალაქ სმირნის საეპისკოპოსოდ კათოლიკეთა ეზურება. და მისივე კრძანებით ტფილისში ასევე საეპისკოპოსოდ მკლესია, მუდამ არსებობის უფლებით. 1) 1328 წ. 6 თებერვლის დეკრეტში პაპი სწერს: «...ამიტომ [illegible] ნებელ აწინდაწინისა და ჩვენ ძმებთან ერთად გულმოდგინე ძალაპარაკებისა, აგრეთვე მათი რჩევითა და ჩვენის მოციქულებრივის სრული უფლებით, ამავე სამეფოში მყოფს განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერს ქალაქს ტფილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად, ღვთის საქებ-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, მცხოვრებთა აწმყო და მომავლის ბედნიერებისათვის და სხვ.. ეგრეთვე გვნმგავს, რომ მომავალშიაც ყოველთვის ეწოდოს ეს ესევე სახელი: ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი...» და სხვ..

ამ ბრძანების შემდეგ ტფილისში ეს ეკლესია კიდეც დაუარსებიათ და პირველ ეპისკოპოსად დაუნიშნავთ იოვანე ფლორენციელი.

ამ დანიშვნის შემდეგ რომის პაპი ვრცელი წერილით უგზავნის დირექტივებს ეპისკოპოსს და ასევე სპეციალური ეპისტოლეთი მიმართავს ქართველ კათოლიკე სამღვდელოებას და მრევლს. 2) ამ დროს სამღვდელოება უკვე ადგილობრივი ქართველებისაგან შესდგება და საინტერესოა კითხვაზედ პასუხი, თუ რატომ თვით ქართველ მღვდელთაგანი ვინმე არ დაუნიშნავთ ეპისკოპოსად. ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

იოვანე ფლორენციელი საქართველოში ეპისკოპოსად დარჩა 18 წელს. მის გარდაცვალების შემდეგ 1349 წ. პაპის კლიმენტი მეექვსის მიერ ახალ ეპისკოპოსად დანიშნულ იქნა ბერტრანდო კოლეტი.

სპარსეთში ლათინების მიერ 1318 წლითგან დაარსებული იყო რამდენიმე საეპისკოპოსო და საქართველოში ახალი ეპისკოპოსის დანიშვნის შემდეგ ტფილისის საეპისკოპოსოდ ერთ-ერთ მათგანს, სახელდობრ სულთანიეს საეპისკოპოსოს დაუმორჩილეს.

1356 წ. მესამე ეპისკოპოსად პაპი ინოკენტი მე-4-ე ნიშნავს დომინიკიანს ბერტრამოს. 3)

1391 წ. მისი გარდაცვალების გამო პაპი ბონიფაცი მე-9-ე ნიშნავს დომინიკიანელ ლეონარდო ვილაკოელს.

ამის შემდეგ კი ზანს ადარ ვიცით, რა მდგომარეობაში იყო საეპისკოპოსო, რათგან ამის შესახებ ცნობები არ დარჩენილა. ხოლო მე-5-ე ეპისკოპოსად 1424-1425 წლებში მოხსენებულია იოანე ეპისკოპოსი. ადრე კი იოანესა და ლეონარდოს შორის იყო თუ არა ვინმე ეპისკოპოსი, არ ვიცით.

მეექვსე ეპისკოპოსი ინიშნება პაპი მარტინე მე-4-ის მიერ 1425 წელს.

1425 წლითგან 1493 წლამდე, 68 წლის განმავლობაში, არ ვიცით, რა მდგომარეობა იყო, მაგრამ საეჭვოა, რომ იქნებოდენ უთუოდ ეპისკოპოსები, რათგან ამ დროს ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები არა სჩანან. ერთ ეპისკოპოსად დასახელებულია ვინმე იოანე. და მერე ამ რიგის მიზეზით 1493 წელს მერვე ეპისკოპოსად პაპის ალექსანდრე მე-6-ის მიერ ინიშნება ალბერტო ენგ�io. 4)

1493 წლის შემდეგ აღარ ვიცით, რა ბედი ეწია ქართველ-კათოლიკეთა საეპისკოპოსოს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ რომთან დაახლოების საკითხი უფრო ცხოველდება. ამას ამ დროს ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აღმოსავლეთში იზრდებოდა ოსმალეთის იმპერია რომელიც მიშის ხარს სცემდა არა მარტო აღმოსავლეთის ქრისტიან ერებსა, არამედ მისი დასავლეთისაც ეშინოდა. კონსტანტინეპოლის დაბყრობა დასავლეთისთვის იყო პირველი ძლიერი სანგრის მოშლა და სწორედ ამან გამოიწვია პაპის მიზეზდება ახალი ჯვაროსნობის მოწყობის შესახებ, ხოლო მეორე მხრით, ვინაითგან ეს საშიშროება ქართველებისთვის უფრო ძლიერი იყო, ამიტომ ქართველმა პოლიტიკურმა წრეებმა იგრძნეს ამ ბედნიერი მემთხვევის ღირებულება. მაშინადვე მიივიწყეს გაჩაღებული ძმათა მორის ბრძოლა, დადგეს ხელშეკრულება და სპარსეთის მფლობელ უზუნ ჰასანთან, სომხეთის მთავართან და ტრაპიზონის იმპერატორთან ერთად შეადგინეს კოალიცია და დიდის სიხარულით და სათანადო მომზადებით მიგებებენ პაპის წინადადებას.

ცხადია ამ უდიდეს პოლიტიკურ მოვლენას მათ მორის სარწმუნოებრივ ურთიერთობაზეც თავისი დაღი უნდა დაესვა. შემდეგ, მიუხედავად ამ დიდი პოლიტიკური ეგზმის ჩა-

---

1) იხ. მ. თამარაშვილის—ტექსტები გვ. 580.

2) ერთი წერილიც გიორგი ბრწყინვალისთვის გაუგზავნია პაპს, მაგრამ პასუხი გიორგისა არ არის დაცული და არ ვიცით, პირობა როგორ მეუსრულა.

3) პაპების ისტორიაში ეს ის ბურუსიანი ხანაა, როდესაც ერთის მაგიერ ორი და სამი პაპი ჩნდებოდა ერთსა და იმავე დროს. სწორედ 1356 წელს ეს ეპისკოპოსი ემხრობოდა ურბან მეექვსეს, ხოლო მეორე პაპად ნოდებული კლემენტი მე-7-ე, რომელიც ძლიერი იყო საკმაოდ, საქართველოში სხვა ეპისკოპოსს ნიშნავს ჰენრიკო რაციხ (თავის მოძმეს). მერე კი, რის შესახებაც არავითარი ცნობები არ გვაქვს, ეპისკოპოსად ისევ ბერტრამო რჩება, სიკვდილამდე, ე. ი. 1391 წლამდე.

4) 1425-1493 წ. პერიოდი საქართველოსა და რომის ურთიერთობისა მეტად გარკვეულ არის დახასიათებული. ამ დროის ურთიერთობის შესახებ ნათელ სურათს გვიშლის პაპი პიო მე-11-ის წერილი ლიუდოვიკე ბოლონიელისადმი (1458 წ. 4 ოქტ.). იგი სწერს, რომ აღმოსავლეთში მრავალი მეფე მთავრები და სარწმუნოების წარმომადგენლები სცხოვრებენ რომის ეკლესიის უზენაეს უფლებას და ბევრნი დიდი პატივისცემით ებყრობიან მასო. ესენ მორის ასახელებს: სამცხის ათაბაგს, ქართლის მეფეს, სამეგრელოს მთავარს, ტრაპიზონის იმპერატორს და მთელ ქართველობას.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის ეპისკოპოსებზედ ვატიკანის საბუთები არას ამბობენ, შეუძლებელია ეს პერიოდი უეპისკოპოსოდ ყოფილიყო და მართლაც რასაც პაპის არქივით ვფრ ვიგებთ, ამ ნაკლს ავსებს ზოგიერთი ძველი მწერლების ცნობები. ამ ცნობების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ოთხი ეპისკოპოსი ყოფილა: 1. 1450 წ. პაპი ნიკოლოზ მე-5-ის მიერ დანიშნული ალექსანდრე დომინიკიანი. 2. 1462 წ, პაპის პიო მე-2-ის მიერ დანიშნული ენრიკო. 3. ვინაითგან უკანასკნელი იმავე წელს გარდაცვლილა, პაპი ნიშნავს ენრიკო ფრანჩისკიანს და 4. 1470 - 1471 წ.წ. პაპს პავლე მე-2-ეს დაუნიშნავს იოანე იმაქი აგვისტიანების წესისა (1493 წლამდე).

ერთი ცნობა ამ პერიოდის ეპისკოპოსების შესახებ ყვარყვარეს წერილშიც არის დაცული. 1459 წ. როცა რომში მივიდენ გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის ელჩები (ამაზედ შემდეგ) უთხოვნიათ, საქართველოს კათოლიკეთა-თვის პატრიარქად ლიუდოვიკე დაეწესებინა, რაც პაპმა სიამოვნებით აუსრულა.

შლიხა, ქართველები რომთან მაინც კარგ ურთიერთობაში იყვნენ. კათოლიკოზა საქართველოში მაინც ვრცელდებოდა და საქართველოში უკვე ფრიად მოწინავე პირები და თვით მეფეებიც ხშირად იღებდნენ კათოლიკოზას.

პაპი ერთ მოწოდებაში კონსტანტინე მეფესაც კათოლიკედ იხსენიებს. მეიძლება ეს ხასიათით სწორი არ იყოს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მეფე კონსტანტინე რომთან და კათოლიკოზასთან ფრიად დაახლოებული ყოფილა.

ამავე დროითგან იწყება თურქების მიერ საქართველოს ხოგიერთი პროვინციების დარბევა.

1520 წ. და 1566 წლებში ჯერ ხულთან სულეიმანმა და შემდეგ სპარსმა შაჰ თამაზმა სრულიად მოაოხრეს სამცხე-საათაბაგო და სარწმუნოების აღმოფხვრასაც შეეცადნენ. ამ დროს ერთად ერთი წრე, რომელსაც შეეძლო სარწმუნოება დაეცვა, იყო კათოლიკოზა, რომელიც ამ კუთხეში საგრძნობ ძალას წარმოადგენდა. ამის შესახებ ცნობებს უხვად გვაწვდის მოგზაური მ ი ნ ა დ ო ი. ხოლო მათ ეკლესიებსაც ბოლო მოეღო მუსტაფა ფაშის შემოსევით. ეს მუსტაფა ფაშა გახლდათ სამცხე-საათაბაგოს ათავრის ქვრივის დედის-იმედის შვილი მანუჩარი, რომელმაც მიიღო მაჰმადიანობა, მოჰკლა მმა ალექსანდრე, რომელიც ამ დროს მთავრად იყო. თვითონ გახდა ახალციხის ფაშად და ხელი შეუწყო თურქობა ბატონობას. ამგვარად დედის მიერ აგებულ ეკლესიების შვილი ანგრევდა. 1) ამ მანუჩარზედ მოგზაური მ ი ნ ა დ ო ი ი რას ამბობს: «წინადაცვეთილ იქმნა მანუჩარ და ეწოდა სახელად მუსტაფა, მიიღო ტიტული ფაშისა და იქმნა გამგე ალთუნყალისა 2) და იმ ყველა ადგილეგისა, რომლებიც ეკუთვნოდენ მისს დედასა და მმასა». ხოლო ჟელეზეული მოგზაური რ ო ტ ი ე ამ მდგომარეობას ასე აგვიწერს: «როგორც სპარსელები, ისე ოსმალეგი ხშირ-ხშირად ესხოდენ საქართველოს ჩვენ დროამდე, აოხრეგდენ ქვეყანასა და ხოცავდენ ხალხს. ბევრჯერ და დიდი ხნობით დასტოვეს ეს ერი უნუგეშოდ, ხოლო იმ რიცხვმა კათოლიკეთა, რომელიც ლათინის ეკლესიის მოწოდებენ დარჩა, სარწმუნოებაში შეურყეველად გასძლო თ ა ვ ი ა ნ თ ი ს ა ვ ე ერის კაცთა (მოწინავე პირთა) მიერ ჭვრეტის და დარიგების მეოხებით».

აქეთგან სჩანს, რომ გარდა ლათინის ტიპიკონის ქართველ-კათოლიკეთა, როგორც მართლმადიდებელნი, ისე ქართული ტიპიკონის კათოლიკენი ერთად იღუმეობდენ ხოლმე ხშირად.

ამგვარად მაჰმადიანობაში ვარდებოდენ არა მარტო მართლმადიდებელი ქართველობა, არამედ ქართული წესის კათოლიკეგიც. ან სხვა შემთხვევაში სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით იღებდენ ხოშხურ ტიპიკონს (და ნელ-ნელა ხოშხდებოდენ); რაოგან თათრები ხოშხებს არ ხდევნიდენ. ამ საკითხზედ ცალკეც ვისაუბრებთ.

ასეთი ბედი ეწია ამ პროვინციაში ქართველ მართლმადიდებლობასთან ერთად კათოლიკობასაც.

ამ დროითგან იზრდება გავლენა სპარსელებისა და ოსმალების საქართველოზედ. ამ შემთხვევით სარგებლობენ ხოშხებიც, რომელნიც მათგან ნაკლებ ჩაგვრას განიცდიდენ, და ყველა ერთად ხდევნიან და ავიწროებენ ქართველ ერს სულიერად თუ ფიზიკურად. იმ დროინდელ წყაროებში აუარებელი ცნობებია დაცული იმის შესახებ, თუ როგორ ხდევნიდენ კათოლიკურ სარწმუნოებას საქართველოში აქ მყოფი ხოშხები. მაგრამ სანამ ამ დევნას შევეხებოდეთ, ჯერ მოკლედ უნდა აღვწეროთ ის დიდი მოძრაობა კათოლიკოზისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-17-ე საუკუნეში.

მე-17-ე საუკუნის პირველ ნახევარში მეფე თეიმურაზი სწერს წერილს პაპს და აგზავნის ელჩს ქართველს, ეიგიფორე ერმანად (ჩოლაყაშვილი) წოდებულს, რომელიც შემღეგ რომში 1629 წელს აარსებს პირველ ქართულ სტამბას და ბეჭდავს იტალიურ-ქართულ ლექსიკონს.

ამ დროს აწამეს სპარსეთში ქეთევან დედოფალი. მისი ნაშთი ინახეოდა მეხიკონერებთან და მერე პატრი ა მ ბ რ ო ზ ი ო ს თაოსნობით იქმნა გადმოსვენებული საქართველოში. მეფე თეიმურაზი მგლოვიარედ და ამასთანავე დიდის სიხარულით შეხვდება ამ პატრს და ეორში აჩენა მას ადგილები. პატრი ამბროზიო აგზავნის ინდოეთს პატრი პეტრეს, ჩამოიტანს იქითგან ფულს და ააგებს ეორ ი დიდებულ ტაძარს. ამ დროითგან იწყება ქართლში მისიონერთა მოღვაწეობის ბრწყინვალე ხანა. ამ პატრების მეოხებით თეიმურაზი ძალიან უახლოვდება რომს,—იქამდე, რომ პაპიც დაყენებით სთხოვდა თეიმურაზს, რათა მთელი ერი შეეერთებინა რომისათვის. მაგრამ თეიმურაზი ამის პირობას ვერ აძლევდა, პირადად კი უნდოდა კათოლიკოზის მიღება. პირობა ვერ შეასრულა იმიტომ, რომ ამ დროს საქართველოში დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძნებსაც და თეიმურაზს (I) ისედაც ძირ გაუმაგრებელი ტახტის დაკარგვისა ეშინოდა. ეშინოდა, ბერძნებმა ეს საფემაგოგიო მასალად არ გამოიყენონ ჩემი მოწინააღმდეგე თავადების წინააღმდეგ. ამიტომ მან ჩუმად მიიღო კათოლიკობა. ხოლო ზეთელ ერს ვეღარ მიაღებინა. თავადებისგან ასეთი უბედურება მას სიმოინის გამეფებით კიდეც შეემთხვა. ხოლო როსტომ ხანის შემოსევის შემდეგ გაიქცა იმერეთს.

ანანდეგ კი კათოლიკოზას კოლში ძალიან დიდი მზრუნველობა გაუწია. ამ დროსაც, როგორც ადრე, ქართველ-კათოლიკეთა მორისაც კიდევ ჩნდებოდენ დიდი სარწმუნოებრივი და ხაზოგადო მოღვაწე პირები. ამ დროს ეკუთვნის ცნობა ერთი შესანიშნავი ქართველის შესახებ. როცა ეორითგან პატრი პეტრე ინდოეთს წავიდა, მას გაყვა ერთი ახალგაზრდა ქართველი კათოლიკე, ბერად აღკვეცილი. ის იწყებს იქ მოღვაწეობას, ის იქამდე მიმზიდველი და მოქმედებელი პიროვნება იყო, რომ მას ყველა იცნობდა და უდიდესი პატივიც ქონდა დამსახურებული. ის ბალე მოკვდა და ვატიკანის წყაროების ცნობით ინდოეთში მყოფ სხვა და სხვა ორდენის მისიონერთა მორის დავა გამართულა, ანდრიას ნეშტი არა ჩვენს ეკლესიაში უნდა დავმარხოთ და არა ჩვენსამიო. დავა სრულიად სერიოზული ყოფილა,—ჩხუკიც კი მოუხდენიათ ბერებს ამ ქართველის გულისთვის. და აი ასეთი თვისუფლება კათოლიკეებს, თეიმურაზის ვაქცევის შემდეგ ეორში აღეკვეთა.

აღმოსავლეთ საქართველოთგან ამ ხანებში მოქმედების ცენტრი მისიონერებს გადააქვთ დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ-საქართველოს მთავრებმა პატრეგის მოღვაწეობა გაიცნეს აღმოსავლეთ საქართველოში და თავისთანაც მიიწვიეს იგინი.

1) სამცხეში, ს. ავალეში დღესაც არის დაცული ერთი უძველესი ეკლესია (დაახლოებით მე-8 ს.), რომელიც მე-16-ე საუკუნეში განაახლებულია დედის იმედის მიერ. ამას გვიჩვენებს სამხრეთის ერთი სვეტის თავის ვრცელი წარწერა.

2) ალთუნ-ყალა ნიშნავს ოქროს ციხეს. ამ შვენიერი ციხის ნაშთი დღესაც დაცულია და იმყოფება სამცხის ჩრდილ დასავლეთ ნაწილში აბასთუმანის დასავლეთით.

ამის საბაბი შეიქმნა შემდეგი შემთხვევა: როსტომ ხანმა შეირთო დადიანის და, და როცა სამეგრელოთგან მოსული მოციქულები გაეცვნენ ეორში პატრების მოღვაწეობას, სთხოვეს მათ, სამეგრელოსაც სწვეოდენ, სადაც პირდებოდენ დიდ ჯილდოს და ყოველგვარ დახმარებას.

პატრებს ამგვარი გულწრფელი მიპატიჟება ფრიად გაუხარდათ და მალე ეწვიენ სამეგრელოს.

სამეგრელოში რასაკვირველია ისინი დიდი პატივით მიიღეს და მთავრებმა დახმარებაც აღმოუჩინეს. ამ პატრების მიწერილი წერილები სავსეა უამრავი მაგალითებით. სამეგრელოს მთავრების გულუხვობისა და სტუმართ-მოყვარეობისა.

ამავე დროს მოხდა პატრების შესვლა გურიაშიც. იმავე როსტომ-ხანის ქორწილში მეგრელებთან ერთად გურულებიც იყვნენ, პატრებს ისინიც გაეცვნენ და მეგრელების მიბაძვით მათაც მიმართეს თხოვნით გურიასაც სტუმრებოდენ.

ამგვარად გურია-სამეგრელოშიც დაიწყო პატრების მოღვაწეობა. ქვემოდ მოკლედ აღვწერთ მათ კულტურულ მოღვაწეობას, და რაც შეეხება სარწმუნოებრივ დარგს, მათი მუშაობა აქაც არ დარჩენილა უნაყოფოდ და დიდ-ძალ ხალხისთვის მიუღებინებიათ კათოლიკობა, მათ უერთდებოდენ თურმე ხშირად მთელი სამრევლოები მღვდლებით და ეპისკოპოსებით. პატრებმა ეორში კულტურულ-ხნეობრივი მიღვაწეობით უდიდესი პატივისცემა დაიმსახურეს. და ეს პატივის-ცემა ისე დიდი იყო, რომ გურია-სამეგრელოს მთავრები ლხინში და ჭირში გვერდში პატრებს მოისვამდენ და ხშირად ისინი მრჩევლებადაც ჰყავდათ.

როცა გურიაში მივიდნენ პატრები, აქაც მთავარს, გურიელს თეიმურაზის მსგავსად აღსარება და გაკათოლიკება მოუთხოვია. ხოლო ეორში რომ ამასნიადაგი ჰქონია და კათოლიკური მოძრაობა იქ წინადაც ყოფილა, ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ პატრებს გურიაში მისვლის დროს ადგილობრივი ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსიც დახვედრია. ეს იყო ეპისკოპოსი მ ა კ ა რ ი ო ზ ი, რომელიც მთავრის მიერ დიდად პატივცემული იყო და მოქმედებაში ყოველნაირი თავისუფლებითაც სარგებლობდა. და როდესაც იქ პატრები მივიდენ, მთავარმა დიდი ჯილდოთი ისინი აღნიშნულ ეპისკოპოსს ჩააბარა. ხოლო ეს უკანასკნელი მათ აუგებს ეკლესიას, თვით ესწრება მათ წირვებს და სათანადო დახმარებასაც უწევს.

ამ დროს გურია-სამეგრელოში მისიონერთა მოღვაწეობას უფრო იმანაც შეუწყო ხელი, რომ აღმოსავლეთ საქართველოთგან ისინი ნელ-ნელა მთლად განდევნილ იქმნენ, თუმცა მართალია, ეს ისე უხეშად არ მომხდარა, მაგრამ მოღვაწეობის ნიადაგი მთლიანათ გამოეცალათ. როსტომ ხანი მათ გასაქანს არ აძლევდა და ბოლოს კანონიც კი გამოსცა რომლის მიხედვით ქართველს თუ სომეხს, გარდა მაჰმადიანობის, სხვა არც ერთი სარწმუნოების მიღების უფლება არ ჰქონდა.

პატრების მოღვაწეობის ეს პერიოდი გურია-სამეგრელოში მეტად საინტერესო და მომხიბლავია, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მათი მდგომარეობის შესუსტების გამო, როგორც სჩანს, თვით ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოების იერარქიის საკითხიც საფრთხეში ჩავარდნილა. ქართველ-კათოლიკეთა საეპისკოპოსოსაც, რომელიც ორი-სამი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, მე-16-ე საუკუნეში ბოლო მოეღო. ამდროინდელ წყაროებში უკვე აღარაფერი ცნობებია შენახული, ხოლო 1633 წლის ბრძანებით ქართველ კათოლიკობა დაუქვემდებარეს ისპაანში მყოფ ლათინთა ეპისკოპოსს.

აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკური მოძრაობის მინელება დროებითი აღმოჩნდა და გიორგი (11) მეფის დროს კვლავ იღვიძებს. გიორგი მეფე თვით იღებს კათოლიკობას და მისიონერთა მოღვაწეობასაც დიდად ხელს უწყობს. გიორგის მეფობაში ბევრი უბედური შემთხვევა შეხვედრია, მაგრამ მას კათოლიკური სარწმუნოებისთვის ბოლომდე, თვით სპარსეთის შაჰის კარზეც კი არ უღალატნია. ასევე მოიქცა ბარძიმ ერისთავი, რომელიც იყო გიორგი მეფის მარჯვენა ხელი. ცხადია, ამგვარი პირების გაკათოლიკება ბევრ შვებას და დახმარებას მისცემდა მისიონერებს.

მალე გიორგი დამარცხდა ბარძიმის მიერ. ის მას მერე აღარ ურიგდება და სამუდამოდ სცილდება სამშობლოს მიწა-წყალს. გიორგი შაჰის კარზეა; ის ინიშნება ყანდაარის მმართველად. და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შაჰის ერთგულ სამსახურთან ერთად არ ივიწყებს თავის ქართველურ „მე“-ს, ძის სარწმუნოებას, და მრავალ საგმირო საქმეთა შემდეგ იღუპება იმავე ყანდაარში. ერთი იმდროინდელი პოლონელი მისიონერი შემდეგს მოგვითხრობს: „გიორგი ბოლომდე ქრისტიანედ დარჩა და კათოლიკედ მიიცვალა, როგორც მოგვით. ხრობენ როდესაც მოჰკლეს მას გულზედ უპოვეს ჯვარი, ერთი ოქროს ჯვარიც თავის ჯარის დროშის ბურთში ჩაეტანებინა. ყველამ ვიცით, რომ წინადვე ის სრულად შეერთებული იყო კათოლიკე ეკლესიასთან. ომის და სიკვდილის წინა დღით წმიაარებაც მიიღო. რათგან მკურნალობის მიზეზით ომში თან წაიყვანა ორი პატრი კაფუცინი, პატრი რეფინალდო და ამბროზიო მილანელი, რომელიც ჩემი დიდი ნაცნობი და მეგობარია“-ო. 1) როგორც სჩანს, გიორგისა და ბარძიმ ერისთავის შემდეგაც არ შეწყვეტილა ეს ტენდენცია და გაკათოლიკების შესახებ შემდეგაც სწარმოებდა მიწერ-მოწერა საქართველოსა და რომის შორის. მაგალითად გიორგი მეფის ძმის ლევანის შვილებს დ ო მ ე ნ ტ ი კ ა თ ო ლ ი კ ო ს ს და ხოსრო მირზასაც მიუწერიათ წერილები პაპთან ეკლესიის შეერთების შესახებ.

ხოსრო მირზა იყო მსაჯულად შაჰის კარზედ და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. როგორც 1708 წ. პაპისადმი მისიონერთა მინაწერ წერილებითგან სჩანს. ხოსროს პირველად მაჰმადიანობა მიუღია და ქართველ ცოლს გარდა სხვა ცოლებიც შეურთავს. ხოლო შემდეგ სპარსეთში პატრების საშუალებით ის კვლავ ქრისტიანობას უბრუნდება (ოღონდ საიდუმლოდ, რათგან აშკარად, როგორც შაჰს, ისევე ... ლო), აღვიარებს კათოლიკობას და პაპს შენობის წერილსაც სწერს. და ერთხელ პაპს პაემანსაც ... თვით მსურს თქვენი ნახვაო. კვლავ გაქრისტიანებამ ხოსროზედ დიდი გავლენა იქონია და მასში ძირეული სულიერი გარდატეხაც მოახდინა. ის თავის მრავალ ცოლთაგან ერთავს მხოლოდ ერთს, სხვებს ანოვაისუფლებს და უბრუნდება ქრისტიანულ წესს ცხოვრებისა. და ასე ისიც ბოლომდე რჩება ქრისტიანედ. 1)

ხოსრო ძალიან მორწმუნე კაცი ყოფილა. იმდროინდელ საფრანგეთის კონსულის ისპაანითგან პარიზში გაგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ხოსრო კათოლიკური სარწმუნოების სიყვარულით იქამდე აღტყინებული იყო, რომ, მაშინაც კი, როდესაც ყანდაარს გარშემო ჯარი ერტყა, თავის კარავში წირვას ასრულებინებდა, ამიტომ განგებ თანა ჰყავდა სამი ფრანგის მონაზონიო.“

სხვა ცნობების მიხედვით მასთან ახლდა ერთი პატრი ბასილი და ეს იქამდე ერთგული იყო მისი, რომ როდესაც 1711 წ. ხოსრო მოჰკლეს ავღანელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პატრს შეეძლო თავისთვის ეშველა,—ამაზე ხოსროც ემუდარებოდა,—მან ერთგულობისათვის თავი შესწირა ხოსროს და ვერაგმა ავღანელებმა ისიც ზედ დაიკლეს მას.

ასე დამთავრდა ამ გაკათოლიკებულ მეფე-მთავართა ცხოვრება.

(გაგრძელება იქნება.)

ალ. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

1) მისი ცხოვრება ვრცლად იხ. ღენ. ლ. კერესელიძის აღნიშნულ წერილებში.



თეთრი ვიორგის რედაქცია და მეკობრები თეთრ-ვიორგელები უცხადებენ გულითადს სამძიმარს ბატონ დიტო კლდიაშვილს მისი დის **მარიამ ძველაძის** გარდაცვალებას გამო.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქართული ენის გრამატიკა ფრანგულ ენაზედ პარიზში გამოვიდა M. Brière-ის და M. Marr-ის წიგნი:

«LA LANGUE GÉORGIENNE»

წიგნი გამოცემულია ძალიან კარგად, დართული აქვს: ორი რუქა საქართველოსი და ვრცელი ლექსიკონი წიგნში ნახმარ სიტყვებისა, ქრესტომატია ძველი მწერლობის ნიმუშებით (ასო-მთავრულ-ხუსხური და მხედრული ტექსტები) და სხვა დ. სხვა დამოგრლოგის ტაბულები.

ამ ნაშრომში წარმოდგენილია ძველი ქართულის გრამატიკა, დაწერილი ფრანგული ენის მიდგომით, ძველი ქართული ენის უცხოელთათვის შესასწავლად. ალაგ-ალაგ ძველი ქართულის ასნლის დროს დაპირისპირებულია ახალი ქართულის ფორმებიც.

ეს დიდი თხზულება წარმოადგენს რამდენიმე წიგნს: პირველი წიგნი შეიცავს ქართული ენის ფონეტიკას (1-40 გვ.). მეორე:—სიტყვების შედგენას (40-59 გვ.), მესამე:—მორფოლოგიას (59-227 გვ.), მეოთხე:—სინტაქსის (227-269 გვ.). 227-541 გვ. მოცემულია ჯრუნგეგათა და ეფვლილებათა 106 პარადიგმა. შემდეგ სხვა და სხვა გამოთქმათა შემოკლებითი ნიშნები (541-546 გვ.) ქრესტომატია (54 -602 გვ.). ბოლოს ვრცელი ლექსიკონი და სამეიბელი.

ამ მეორე რეცენზიაში ჯერ-ჯერობით ვერ წარმოვადგენო თვით თხზულების სრულ მეფასებას, მხოლოდ აღვნიშნავთ: როგორ მეტად შესანიშნავი თხზულება არის M. Brière-ის მიერ ქართული ენის გულმოდგინე ჩაკვირვებისა და ღრმად შესწავლის შედეგი.

ქართული ენათ-მეცნიერება თვით საქართველოშიც მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. ქართველ მეცნიერთა ნ. მარრის, აკ. შანიძის, მათ მოწაფეთა და სხვათა სანგრძლივი მუშაობით მხოლოდ ახლა ხდება შესაძლებელი ქართული ენის საკითხების სწორი შეფასება, და მისი სრული ჩამოყალიბება ალბად კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება. ამიტომ ასეთ პირობებში უცხო მეცნიერისათვის ქართული ენის შესწავლის საქმე ძალიან რთულია. ამ მხრით M. Brière-ის შრომა წარმოადგენს უდიდეს მიხეკვას,—არა მარტო მეცნიერულის, არამედ ქართული ენის და კულტურის უცოდეთში პროპაგანდია თვალსაზრისითაც, რასაც ქართველი ერი თავის დროზედ ღირსეულად დააფასებს, მსგავსად M. Brossett-ის და სხვათა ღვაწლისა, რომელთაც თავიანთი დაუღალავი შრომით დიდი სამსახური გაუწიეს ქართულ მეცნიერებას.

ქართული ენის შესწავლის საქმე როგორც საფრანგეთში ისე ევროპის სხვა ქვეყნებში ამ წიგნის საშუალებით ფრიად გაადვილებულ იქმნება.

ენათა მეცნიერებისა და კერძოდ მცირე აზიის ღვაწლს კულტურის პრობლემათა გადაწყვეტას, რომელიც შეუძლებელია თვინიერ ქართული ენის შესწავლისა, აგრეთვე დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული თხზულება და ყველა ის კულტურული მუშაობა, რომელიც სწარმოებს დღეს პარიზში ქართული ენის და კერძოდ ძველი ქრისტიანული ლიტერატურის გარშემო.

ამგვარი მუშაობა პარიზში სწარმოებს უკვე ოთხი წელიწადია, რომლის სულის ჩამდგმელიც არის ცნობილი პროფესორი, გამავრცელებელი მცირე აზიის ქრისტიან ერთა ძველი მწერლობისა Mgr Graffin და რომლის წყალობითაც აქ ოთხი წელია ქართული ენაც ისწავლება.

ჩვენ, ქართველები, რომლებიც ვიცნობთ მას, მის დაუღალავ მოღვაწეობას და კერძოდ ქართველებისადმი უდიდეს სიმპატიას,—ვაფასებთ, პატივს ვცემთ მას და ვისურვებთ, რომ ამგვარი სამსახური კვლავ გაგრძელდეს მეცნიერებისა და ქართველი ერისათვის.

ალ. მანველიშვილი.

ქ რ ო ნ ი კ ა

—მოკლე ხანში **თეთრი ვიორგი** გადაიხდის 1832 წ. შეთქმულების ასი წლის თავს. დრო და მისამართი საზოგადოებას ცალკე ეცნობა.

—10 აპრილს, პარიზში, ბ-ონ ალ. მანველიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ვეფხის ტყაოსნის შესახებ. დაესწრო დიდძალი საზოგადოება. მოხსენების რეცენზია დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

—24 აპრილს მოხდა პარიზის ქართული კოლონიის არჩევნები. ანგარიშები დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

1) ამის შესახებ იხ. ღენერალ ლეო კერესელიძის მეტად შვენიერი წერილები, რომელიც დაბეჭდილია გაზ. „თეთრი ზიორგის“ ნომ. 39 და სხვ.

2) იხ, თამარაშვილის .ისტ. გვ.288, შეად.ტექსტ.707.

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant: Félix KALDENBACH.